პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
—აპრილი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, კონსტანტინე ანდრიაძის ქუჩასთან მდებარე ორი უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მედდების ინგა გვასალიას და რუსუდან ჩხეტიანის სახელების მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, კონსტანტინე ანდრიაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მედდის ინგა გვასალიას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, კონსტანტინე ანდრიაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მედდის რუსუდან ჩხეტიანის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


X:495518 Y:4616133
X:496525 Y:4616150
ინგა გვასალიას ქ.
X:495468 Y:4616049
რუსუდან ჩხეტიანის ქ.
X:495505 Y:4616018
X:496498 Y:4616024
X:495444 Y:4616018
N
1:4,500

თბილისის საკრებულოს სახელდების და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარეს,

ქ–ნ ნინო ვარდოსანიძეს

1. შპს კაპაროლ ჯორჯიას (ს/ნ 202248503) დირექტორების, ბორის გამრეკელის (პ/მ #01008003148) და დავით შენგელიას (პ/მ #01024003652);
   mob. 599 500 839; Macharashvili@caparol.ge
2. შპს ქართული მინერალური მასალების (ს/ნ 406225794) დირექტორის თეიმურაზ სიორიძის (პ/მ #33001007353);
3. შპს ახალი ტექნოლოგიების (ს/ნ 401997069) დირექტორის, ზურაბ ჭუმბურიძის (პ/მ #25001003894);
4. შპს ემ ჯი ემ გრუპის (ს/ნ 405461833) გენერალური დირექტორის, გიორგი ჩემიას (პ/მ #01008046645);
5. ქეთევან ჩემიას (პ/მ #01008018935);
6. კობა წოწკოლაურის (პ/მ 16001002514)

ერთობლივი განცხადება

ქ. თბილისი

19.10.2022

მოგახსენებთ, რომ დიდ ლილოში, კონსტანტინე ანდრიაძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩვენს საკუთრებაშია მიწის ნაკვეთები შემდეგი საკადასტრო კოდებით:

1. შპს კაპაროლ ჯორჯია – საკადასტრო კოდი: 81.08.19.265 და 81.08.19.298;
2. შპს ქართული მინერალური მასალები -- საკადასტრო კოდი: 81.08.19.466;
3. შპს ახალი ტექნოლოგიები -- საკადასტრო კოდი: 81.08.19.402;
4. შპს ემ ჯი ემ გრუპი – საკადასტრო კოდი: 81.08.19.294;
5. ქეთევან ჩემია -- საკადასტრო კოდი: 81.08.19.295;
6. კობა წოწკოლაური – საკადასტრო კოდით: 81.08.19.465.

მიწის ნაკვეთს საკადასტრო კოდით 81.08.19.265, 81.08.19.298 და მის მოპირდაპირედ არსებულ ნაკვეთებს საკადასტრო კოდებით 81.08.19.466, 81.08.19.294, 81.08.19.295 შორის არსებობს გამავალი გზა (ქუჩა) რომელსაც არ გააჩნია სახელი.

გთხოვთ განიხილეთ ჩვენი განცხადება, რათა ზემოაღნიშნულ ქუჩას დაერქვას შესაბამისი სახელი.

ხელმოწერები:

1. შპს კაპაროლ ჯორჯიას (ს/ნ 202248503) დირექტორების, ბორის გამრეკელი (პ/მ #01008003148) და დავით შენგელია (პ/მ #01024003652)

   mob. 599 500 839; Macharashvili@caparol.ge

2. შპს ქართული მინერალური მასალების (ს/ნ 406225794) დირექტორის თეიმურაზ სიორიძე (პ/მ #33001007353)

3. შპს ახალი ტექნოლოგიების (ს/ნ 401997069) დირექტორის, ზურაბ ჭუმბურიძე (პ/მ #25001003894)

4. შპს ემ ჯი ემ გრუპის (ს/ნ 405461833) გენერალური დირექტორის, გიორგი ჩემია (პ/მ #01008046645)

5. ქეთევან ჩემია (პ/მ #01008018935)

6. კობა წოწკოლაური (პ/მ 16001002514)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032328339**
თარიღი: **10/10/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი შპს "კაპაროლ ჯორჯიას" იურისტის გიორგი მაჭარაშვილის 2022 წლის 24 ოქტომბრის საქმე #10/032229760-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს დიდ ლილოში კონსტანტინე ანდრიაძის ქუჩის მიმდებარედ არსებული უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ზემოხსენებული უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01233071614**
თარიღი: **03/11/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 10.10.2023 წლის # 03-032328339 (10.10.2023 წ. #14-01232831913-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

რუსუდან ჩხეტიანი

(1969-1993)

აფხაზეთში დაღუპული მებრძოლი, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის კავალერი

დაიბადა 1969 წლის 5 ივლისს გულრიფშის რაიონის სოფელ მერხეულში. 1074-1985 წლებში სწავლობდა ქალაქ სოხუმის მე-2 საშუალო სკოლაში.1985-1989 წლებში სწავლობდა სოხუმის სამედიცინო ტექნიკუმში მედდის სპეციალობაზე.

1989 წლიდან მუშაობდა ქალაქ სოხუმში, კაფე „ედელვაისში" მომმარაგებლად.

1992 წლის ნოემბერში ჩაირიცხა სამხედრო პოლიციაში სამედიცინო სამსახურის მედდად. იგი პირნათლად ასრულებდა თავისზე დაკისრებულ ვალდებულებას. არაერთი დაჭრილი ყავს გამოყვანილი ბრძოლის ველიდან.1993 წლის 16-17 მარტს შემოტევისას ბრძოლის ველიდან გამოიტანა რამდენიმე დაღუპულის ცხედარი, რის შედეგადაც საბრძოლო მამაცობისთვის გამოეცხადა მადლობა.

აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 22 სექტემბერს, ბაბუშერას აეროპორტში ავიაკატასტროფისას დაიღუპა გმირულად.

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

ინგა გვასალია

(1967-1993)

აფხაზეთში დაღუპული მებრძოლი. საინჟიმრო მესანგრეტა ასეულის მედდა

დაიბადა 1967 წლის 17 იანვარს გულრიფშის რაიონის სოფელ დრანდაში. 1973 წელს შევიდა დრანდის საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1983 წელს. 1984 წელს ჩაირიცხა თბილისის სავაჭრო ტენიკუმში საქონელმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1988 წელს. ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ჩამოვიდა მშობლიურ რაიონში და მუშაობა დაიწყო მაღაზიაში გამგე-გამყიდველად.

ინგა ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა გამბედაობითა და სიმამაცით. აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს ჩარიცხული იყო 23-ე საარმიო კორპუსის საინჟინრო მესანგრეთა ასეულში მედდად. მან თავი გამოიჩინა როგორც საქართველოს ერთიანობისათვის და დამოუკიდებლობისათვის თავდადებულმა მებრძოლმა. იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციებში, რომელსაც აწარმოებდა საინჟინრო მესანგრეთა ასეული. იგი არც ერთ დაჭრილს არ ტოვებდა ბრძოლის ველზე. უშიშრად და მედგრად ემსახურებოდა მათ. მას ქალაქი არ დაუტოვებია და იბრძოდა სიცოცხლის ბოლო წუთამდე. გმირულად დაიღუპა 1993 წლის 29 სექტემბერს.